

# შინაური საქმეები

ყოველკვირული გაზეთი

№ 12.

კვირა, ივნისი 29, 1908 წ.

ფასი წლურათ — 4 მან.

ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერთი ღირს 8 კაპეიკათ.

აღრეზი: ქუთაისის „შინაური საქმეების“ რედაქცია.

**შინაურნი:** აღრევეთი უფლება და სამღვდლო კანდიდატების კრიზისი იმერეთის ეპარქიაში (გაგრძელება) — უკიდურესისა; ქეშარიტების შექმნის — თნოტრე მწირისა; ახლო-მახლო (გაგრძელება) — კირილე წუთისოფელისა; 1904—1906 წ.წ. განცილ კერძო და საზოგადო გაქივრებათა მოვლენები — ქვაციხელ-საბაჟოელისა; დაბადების მოთხრობა (გაგრძელება) — ტონკელისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქიო ცხოვრების არსებობას — სანმანიანისა.

## ყოველ კვირულ გაზეთ

### „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ ქუთაისში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში — წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

### აღრევეთი უფლება და სამღვდლო კანდიდატების კრიზისი იმერეთის ეპარქიაში.

გაგრძელება. <sup>1)</sup>

ეხლა შემოვიდა მოდაში სამღვდლო კანდიდატების არჩევითი წესები და რა ხდება?... მაგრამ, სანამ ამაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია, — გავითვალისწინოთ ამ წესების შემოღების დასაბამი.

საზოგადო მოძრაობის დროს საქართველოს, სამღვდლოებამ დიდი ხნის გულნადები ავტოკეფალობა მოითხოვა. „გოქმა კუდი ააბზიკა, მეც ნახირში გამრიეთო“! აი რა აზრით მიეგება სამღვდლოების ამ კეთილშობილურ მისწრაფებას მოძრაი ახალგაზდობა, ის ახალგაზდობა, რომელმაც კუჭი აღიარა ღვოადაც და ეკლესიაც, რომელმაც უარყო ღმერთ-

თიც. ეკლესიაც და სამღვდლოებაც. ცოტა არ იყოს სამღვდლოება შედგა, შეფერხდა. უარისმყოფელნი სახუმროთ აღარ ამბობდენ ეკლესიების შკოლებად და თეატრებად გადაკეთებას. ხალხი? ხალხი არ არის ურწმუნო, იგი არ წააბილწვინებს უარისმყოფლებს იმ სარწმუნოებას, რომელიც ორი ათასი წელიწადი მხრით ატარა, რომელმაც მის კეთილდღეობას შესწირა თავის პოლიტიკური დამოუკიდებლობაც კი. „ვფიცავ ქრისტეს ჯვარს, იმ ჩვენ დამხსნელს, მასვე დამღუბველს“, ამბობს პოეტი, წარმოიდგენს რა ქრისტეს ჯვარში გაცვილილ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას! და აი ამ ხალხის იმედით სამღვდლოებამ გაბედა მოეთხოვა ავტოკეფალობა, რომ აღედგინა ძველი ეკლესიის ნამდვილი მართლმადიდებლობრივი ადათი და წესწყობილება, რომელთა შორის საპატრიარქო ადგილი უნდა დაეჭირა აღრევეთი წესებს, როგორც სამოციქულო ეკლესიის ერთ უძველეს ჩვეულებას. ამ არჩევით წესებს უნდა დამორჩილებოდა ყველა — ქათალიკოზიდან დაწყებული უკანასკნელ მნათემდე, ავტოკეფალობის მიღებამდის, რომლის იმედი დიდი არ იყო, საქართველოს ეპისკოპოსებმა მოითხოვეს ეკლესიის მსახურთ განწესებაში შემოეღოთ აღრევეთი.

<sup>1)</sup> იხ. „შინაური საქ.“ № 11.





თი წესები. ვრცელდებოდა თუ არა ეს მათი ნათხოვნი აღრჩევითი უფლებები თვით ეპისკოპოსებზე? ეს არ ვიცი. მხოლოდ ვიცი, რომ საცილობელ ძვალთვით ხალხს გადმოუგდეს მედავითნის, დიაკონის და მღვდლის არჩევნების ნება, ხოლო სამღვდლოებს ბლაღოჩინის. რა ხდება ეხლა? საზიზღროება, საძაგლობა. სოფლებში თავი იჩინეს საზოგადოების ნაძირლებმა და დაიწყო სამღვდლო ადგილებით ვაჭრობა. არც სწავლა განათლება, არც ზნეობრივი მხარის სიმალღესის პეტაჟე და არც ქეშმარიტი რწმენა და მოწოდება საჭირო აღარ არის. ყველას შეუძლია ხალხის „პრიგოვორი“ იშოვნოს, თუ კი ფული აქვს და ნაძირალები მოიძებნოს. თუ ვინმემ გაბედა და ნაძირალებს აწყენინა, უყურეთ მაშინ ჩვენებურ იარაღს „დონოსებს“, როგორ დაიწყებენ ფრიალ-ფრიალს ეპისკოპოსის სასახლისაკენ. რას არ მოიგონებენ ეს დალოცვილები? რას არ გამოთქმენ; რომ მიზანს მიაღწიონ, ე. ი. კანდიდატს რამე „შეაძრონ, შეატყაყონ“.

რას შვრება ამ დროს ხალხი? სრული მონაა „ნაძირალისა“, რადგან მისი შიში და მორიდება დიდია სოფელში. არ დაუჯერებს, ინანებს და ისიც უჯერის, და ხელს უწერს ან მოწმეთ ჯდგება იმ კაცის საჩივარზე, რომელიც გუშინ პატიოსნობით სავსე მექონ გვაძად ჩასთვალა და თავის სულიერ მამად და მოძღვრად აღიჩინა.

მამასახლისებმა „ლარი დაისვეს“, როგორც იტყვიან. იგინი მეორე ეპისკოპოსად გახდენ— „გაჰოლმა ეპისკოპოსად“, როგორც თავის თავს უწოდებს ზოგიერთმა მამასახლისებმა, მაგრამ ისეთ ეპისკოპოსებად, რომელთა გარეშე არ შეგიძლია მიზანს მიაღწიო, არ შეგიძლია „კენჭი“ იშოვნო. მესამე ეპისკოპოსი ნაცვალის შეიქნა: თუ ხალხი არ შეაგროვა ყრილობაზე, რა გამოვივა? ვინ შეგიდგენს „პრიგოვორს“? მეოთხე ეპისკოპოსი თი-

თეული გლახია. მწერლის თანამდებობას ხომ ვეღარ განსაზღვრავ ამ აურაცხელ ეპისკოპოსთა შორის; იგი ყველაზე უფროსია და ამ უფროსობას რიგიანადაც ხმარობს... ერთი სიტყვით ეპისკოპოსების რიცხვს აღარ აქვს დასასრული. ყველასთან ეკზამენი უნდა დაიჭირო: ზოგთან ფულით, ზოგთან ცოდნით, ზოგთან პურღვინით, დაჩოქებით და ვედრებით, ზოგთან თავის დამცირებით. ზოგთან კიდევ— ვინ იცის, რა ვაი ვაგლახით!... მიბრძანეთ შენი კირიმე, შესაწყნარებელია ასეთი არჩევნები? მოგვეცემს სასურველ შედეგს?

მერე ვინ გამოდის ამ დროს სამღვდლო კანდიდატებად. სოფლის მედავითნეები, რომელთაც უმეტეს ნაწილად სასულიერო სასწავლებელიც არ შეუსრულებიათ; გამოდიან ისეთი პირები, რომელნიც დროის და გარემოების მიხედვით ხან, ესერია, ხან ესდეკია, ხან ურწმუნოა და ხან მორწმუნე, ე. ი. გამოდიან რწმენა გაუმაგრებელი ქარისაგან მოქანავე ლელწმები. და ხალხიც ირჩევს მათ. ირჩევს ერთი იმიტომ, რომ უკეთესი არა ჰყავს და მეორე, იმიტომ რომ უკეთესის ცნობის უნარიც არა აქვს. იგი ვერ გაარჩევს, და არც შეუძლია გაარჩიოს, ავს და კარგს. მას, ვინც უნახავს და ვისგანაც სიტყვა გაუგონია, ფილოსოფოსიც ის ჰგონია. მას არა აქვს წარმოდგენა, თუ როგორი უნდა იყოს სამღვდლო კანდიდატი; რა ზნეობრივი და გონებრივი მომზადება უნდა ჰქონდეს მას. ამის დაჰამტყიუბელი მაგალითები ბევრი დაგვიგროვდა ამ ბოლო დროს, მაგრამ რომ არავის ვაწყენინოთ, ჩვენ არ მოვიყვანთ ამ მაგალითებს. მხოლოდ გადაჭრით ვიტყვი, რომ ხალხი ვერ ხმარობს დღეს დღეობით იმ სამაგალითო წინ სვლის იარაღს, რომელსაც აღრჩევით უფლებას ეძაიან და რომელიც დღეს ბადებს ამდენ უსიამოვნებას. არა და, ამ უფლების ზელიდგან გაშვება სასურველი არ არის. ის კი არა



უნდა ვეცადოთ მეტი უფლებებით აღვიქურვოთ, უნდა ვეცადოთ, რომ სამღვდლოებას საერო წარმომადგენლებთან ერთად უფლება ექნეს თავისი ეპისკოპოზი თითონ აირჩიოს.

ყოველი შეხება და ახალი წესების შეტანა ხალხის აღრჩევით უფლებაში დარღვევა იქნება ამ უფლებებისა, შეზღუდვა იქნება მისი და მაშასადამე არ არის სასურველი, მაგრამ რა ვქნათ, რომ უამისობაც არ შეიძლება.

უკიდურესი.

(გაგრძელება).



**ქეშმარიტების მექანიზმი.**

(მღ. პ. პოლიაკოვის მოგზაურობიდან).

საროვის მონასტრის მიძინების ტაძარში საღმრთო ლიტურგია იწყებოდა. ურიცხვი ხალხი ეკლესიის გარშემო შეჯგუფებულიყო. როცა ეკლესიას მივუახლოვდი, ხალხის ჯგუფიდან გამოვიდა ვინმე უცხო ბერი, მომიახლოვდა და გამომელაპარაკა. როცა შეიტყო, რომ მე პეტერბურდიდან მოვდიოდი, გაკვირვებით მკითხა, თუ რა საქმისთვის მოსულვიყავი, ანუ გამოგზავნილი ხომ არ ვიყავი რაიმე საქმეზე.

— არა, მე თქვენსავეთ ჩვეულებრივი მლოცველი ვარ.

— მაშ, მამა სერაფიმესთან?

— დიალ, თქვენ რომელ მონასტრიდან ხართ?

ბერმა დასახელა თავისი სახელი.

— მაშ თქვენც გახსოვთ მამა სერაფიმე? ვკითხე მე.

— როცა პეტერბურდს არ დავიწყებია, გამოგზავნა საროვის მლოცველი, ჩვენთვის, თუმცა აქიდან, ასე ვთქვათ, ათას ვერსტის მანძილზე ვცხოვრობთ, უსათუოდ ცოდვა არ გვახსოვდეს და არ ვადიდოთ ის, ვინც ქეშმარიტად წინამძღვარია მონაზონთა და თანამზრახველი

ანგელოზთა. როგორ არ ვადიდოთ ჩვენ მამა სერაფიმე? ეს ხომ ნუგეშინისმცემელი ანგელოზია ღვთისგან ჩვენდამი გამოგზავნილი განსამტკიცებლად და ნუგეშის საცემად. თქვენ ხომ მოგეხსენებათ, თუ რადროს ვცხოვრობთ, რანაირ საკთურებით ვართ გარემოცული. რომელიმე მივარდნილ ადგილიდან ხომ არ მოსულხართ, არამედ, ასე ვსთქვათ, გონებრივ ცხოვრების შუაგულიდან, ყოველივე მსოფლიო საკთურისა და განსაცდელის მთავარ წყაროდან... სარწმუნოება ირყევა, წმიდა მამების მცნებანი ითვლებიან, სული იშრიტება. ერთის სიტყვით, ძველი კეთილ-მსახურება რუსეთში ეცემა... და ყველაფერი ეს შემოდის ევროპისკენ გაჭრილ ფანჯრით, თქვენის სანკტ-პეტერბურდით... ყოველივე ეს წყარო გამანადგურებელ შხამისა იქიდან გამოდის... თქვენთან უკაცრავათ, — და ჩვენ საერთოდ თქვენი პეტერბურდის შესახებ არც იმდენი სასურველი წარმოდგენა გვაქვს.

— საიდან გაგიჩნდათ ასეთი აზრი დედა ქალაქის შესახებ? ჩვენსაც არც ისე ბნელა, როგორც თქვენ გეჩვენებათ.

— თითონ, საკუთარ ტყავზე გამოვცადე; ათი წელი ვავატარე იქ...

— ბერად?

— არა. მე, ხედავთ ქეშმარიტების მეძიებელთაგანი ვარ... ბერად დიდი ხანი არაა რაც შევდექი, — სულ სამი წელია, მანამდე კი ვცხოვრობდი თქვენს პიტერში... თქვენ გეუცხოებათ, თუ გეტყვით, რომ თქვენ წინ დგას ყოფილი სტუდენტი უნივერსიტეტისა, თავზე ხელაღებული თავისუფალი მოაზრე, თითქმის რევოლიუციონერი, შემდეგ გაცხარებული მოწაფე ტოლსტოისა, მერე ღვთისუარმყოფელი და ბოლოს შეგნებული ბერი!.. თქვენ გესმისთ, რას ნიშნავს შეგნებული ბერი? — კაცი პირადის ხანგრძლივ გამოცდილებით მტკიცედ დარწმუნებული, რომ უკეთესი ცხოვრება კაცისათვის მონაზონებრივი ცხოვრებაა. მე ვსწავლობდი მეც



ნიერებას, ვეთაყვანებოდი მას, როგორც ღმერთს, აღტაცებული ვიყავი „სტუდენტის“ სახელით, — მაგრამ მალე დაეინახე, რომ ქვეშარიტება აქ არ იყო; მაშინ მთელ ქაბუკურ მისწრაფებით ვეცი პოლიტიკას, მთლად შევეუდექი სოციალურ ოცნებებს, — მაგრამ აქაც მალე გავვრილდი, რადგანაც უცებ შევიგენი ყოველივე ეს უნიადაგო სიბრძნე და სრულ სიცრუეზე დაშენებული ფილოსოფია; შემდეგ გავეხი ტოლსტოის მოძღვრების მახეში, სადაც პირისპირ შევეჯახე გადაჭარბებულ სიცრუეს; ამის შემდეგ რა დამრჩენოდა? — და მეც ყველაფერს ზურგი ვაქციე; გულგრილობიდან კი ბუნებრივად უღმრთოებაზე და სარწმუნოების მტერობაზე გადავედი. მაგრამ, ვნახ.ო, ჩემს სულში ხდება სრული გარდაქმნა, რომელიც თავდება იმიო, რომ მე სრულიად შეგნებულად და მოფიქრებულად შევდივარ ბერად...

ამასობაში წირვაც დაიწყო. წირვის გათავების შემდეგ, როცა შევედი ჩემს ოთახში, ხსენებული ბერი უკვე მიცდიდა აქ, ჩემი თხოვნის თანახმად.

— და ასე ხედავთ, განაგრძო მან, — მე ვეძებ ქვეშარიტებას, ხარბათ ვეძებ მას. ქვეშარიტების, ღვთის სიმართლის წყურვილი დამებადა ჯერ კიდევ გიმნაზიაში. ჩვენ გვყავდა შეგნებულად მორწმუნე დირექტორი და კეთილი სჯულის მასწავლებელი. უკანასკნელი — უკვე მოხუცი იყო — იმდენად საღმრთო სჯულს არ გვასწავლიდა, რამდენათ ბაასობდა ჩვენთან კაცის ცხოვრებაზე, ყოფა-ქცევაზე, ქრისტიანულ ფილოსოფიაზე, მსოფლიო სიბრძნეზე და სხ., ხსნიდა ნათელს ფენდა ადამიანის ცხოვრებას... ამ წყურვილით გადავედი უნივერსიტეტში. აქ სულ სხვა პირობებს შევხვდი. სტუდენტები უფრო ფარულ გამოცემათა კითხვით იყვნენ გართულნი ვიდრე მეცნიერებით. ფარულ ლიტერატურიდან უფრო იმ წიგნაკებს კითხულობდნენ, რომელშიაც გაკიცხული იყო მართლმადიდებელი; სარწმუნოება და რუსის

ეროვნება-ნაციონალიზმის სახელით. გავრცელებული იყო აგრეთვე ანარხისტული და ნიგილისტური იდეები. პირველად, როგორც ახალი, მეც შემითრის ამ სფეროში და ძლიერ შევიმწიკვე უღმრთოებით. გავერიე ერთს სტუდენტურ ეშმაკობაში, — და გამგზავნეს ქალაქიდან არხანგელსკის გუბერნიაში.

ამ ექსორიობაში ტოლსტოის მხურვალე მოწაფედ გადვიქეცი და იმაზე ფიქრობდი, თუ როგორ შენახა იასხოპოლის წინასწარმეტყველი. ბოლოს ფიქრი შემისრულდა. განმათავისუფლეს თვალყურის გდებისაგან იმ პირობით, რომ დედაქალაქებში არ შესულვიყავი, მაგრამ უფლება კი მომცეს ტომსკის უნივერსიტეტში შესვლისა. მე მაშინვე გავეშურე იასნობოლდანისკენ. ტოლსტოიმ მიღებისთანავე განგვიცხადა წინდაწინ, რომ შეუძლია ილაპარაკოს არა უმეტეს ოცი წუთისა დროის უქონლობისა და ავთაყოფობისა გამო.

— მე ვეძებ ქვეშარიტებას, — ვუთხარი ტოლსტოის პირდაპირ; და ამ მიზნით მოვსულვარ თქვენთან.

— თქვენ გზას აცდენ ხართ, — მომიგო მან, — მე თვითონ მხოლოდ მეძიებელი ვარ ქვეშარიტების.

— აბა სად უნდა წავიდე?

ტოლსტოიმ პირველად, როგორც ეტყობოდა, არ იცოდა რა ვბასუხა, მაგრამ შემდეგ მკითხა:

— თქვენ სწავლობთ?

— მე სტუდენტი ვარ გადასახლებული.

— იკითხეთ წიგნები, გამოიძიეთ ცხოვრება მის არსებულ სახისგან დამოუკიდებლად, და, თუ გონიერი კაცი ხართ, შინაგანი ხმა გეტყვისთ, სად არის ქვეშარიტება.

— წიგნები ხომ ისე აუარებელია და მიმართულებით სხვა და სხვა ნაირი, რომ ძნელია გამოიცნო, რომელი მათგანი ამ-



ბობს ქვეშარიტებას და რომელი სიტუაციაა.

— დიად, სიტუაცია ცხოვრებაში მეტია, ვიდრე ქვეშარიტება და სიმართლის მარგალიტი დაფარულია აუარებელ ნეხვსა და ტალახში, მაგრამ თანამედროვე ადამიანის დანიშნულებაც უმთავრესად იმაშია, რომ გაძვრეს გაუსვრელად ამ ნეხვსა და ტალახს შორის და იპოვოს წმინდა მარგალიტი.

— ეს მძიმეა, თითქმის შეუძლებელია, გრაფო!

— დიად, ადვილი არაა. ხომ გაგიგონიათ სახარების სიტყვები: „სასუფეველი ღვთისა იძულების.“

— მე არა მწამს სახარება, არა მწამს ღმერთი.

— რომელ სახარებასა და რომელ ღმერთზე ამბობთ?—მკითხა ტოლსტოიმ წარბ-შერქმით.

— განა არის რავდენიმე სახარება და რავდენიმე ღმერთი?

— დიად, არის სახარება და არის ღმერთი, ადამიანის ოცნებისგან გამოგონილი, და არის ქვეშარიტი სახარება და ღმერთი, ადამიანის ოცნებისგან, მწიკვილიან ლტოლვილებათაგან დამოუკიდებელი.

— მიჩვენეთ ეს სახარება და ეს ღმერთი!

— გიჩვენეთ რამდენათაც შემეძლო და კიდევ გიჩვენებთ ამას ჩემს ნაწარმოებში. წაგვიკითხავთ იგინი?

— წამოკითხავს. მაგრამ აღვიარებ, ვერ ვხედავ საბუთს, რომ თქვენი ღმერთი ქვეშარიტია.

გრაფმა უკმაყოფილო თვალთ შემოძახდა.

— მაშ, თქვენ ყოვლის უარყოფელი ხართ, — მითხრა მან მქისედ.

— შეიძლება—ასეც იყოს, — მიუხედავად და რაოდენადმე სასოწარკვეთილის ხმით. — მაშ რა ვქნა?

თქვენ, გრაფო, ყველაფერს უარყოფთ

და მეც ყველაფერს უარყოფ: ეს მე თვენგანვე ვისწავლე...

— სტყუით, — მკაცრად სიტყვა გადამიჭრა ტოლსტოიმ, და შევნიშნე, რომ მაგიდიდან წიგნის ასაღებად გაშვერილი ხელი უკანკალებდა ნერვების აღელვებისგან. აი წიგნი საზღვარგარეთ შედგენილი ყოვლის უარყოფის წინააღმდეგ და ფრიად გონიერი წიგნიცაა... მასში სიმართლეა თქმული, თქვენ კი სტყუით... მე დრო არა მაქვს... ცუდათაც ვგრძნობ თავს...

— უკაცრავად, გრაფო, — ვძაღობდა ლაპარაკის განახლებას ჩემს საყვარელ მწერალთან, — თქვენ ჩემი ვერ გაიგეთ, რადგან შექველია ჯეროვნად ვერ გამოვსიტქვი ..

გრაფი იხრიკებოდა რაღაც ქალღმერთსა და ხელთნაწერებში.

— თქვენ უარყოფთ, — გავაგრძელე მე, — მთელს თანამედროვე სახელმწიფო წყობილებას, თანამედროვე სარწმუნოებას და თანამედროვე ცხოვრების ყოველს საზოგადო და საპირადო არსებულ სახეს. უარყოფთ იდეალებს, რომელთაღმე მიისწრაფის თანამედროვე ადამიანთა უმეტესობა. ღმერთს აღიარებთ არა ისე, როგორც თანამედროვე კაცობრიობა. მე შეგიდგები თქვენ, მაგრამ უარყოფაში შორსაც მივდივარ: მე უარყოფ, ანუ უნდა უარყო საუბედუროდ ის სახეებიც კაცობრიობის ცოვრებისა. რომელსაც თქვენ ქადაგებთ, აგრეთვე ის ღმერთიც და ის სახარებაც, რომელსაც თქვენ აქებთ, რადგანაც თქვენ არ იძლევიან საკმაო საფუძველს, რომ ყოველივე თქვენგან ქადაგებული და მოწონებული უფრო ქვეშარიტებაა, ვიდრე ის რაც ქვეშარიტებად მიაჩნია კაცობრიობის უმრავლესობას. ავიღოთ, მაგალითად, თქვენ მიერ გასწორებული სახარება: თქვენ წაშალეთ მასში ყოველივე ზესთა-ბუნებური, რომელსაც ვერ წვდება ადამიანის გონება, წაშალეთ ყოველივე ღვთიური და დასტოვეთ მხოლოდ ზნეობრივი სწავლა და მსოფლიო



წესები, რომელთაც იხსენიებენ როგორც თქვენ ამბობთ, კონფუსი, მოსე, ბუღდა და სხ., და ყოველივე ამას თქვენ ეძახით ქვეშარიტებას, მარგალიტს. მაგრამ მიუხედავად ჩემის თქვენდამი პატივისცემისა, განა შემიძლია ვერწმუნო თქვენს მხოლოდ სიტყვას, როცა არ ვერწმუნები ათასობით, ათიათასობით მნიშვნელოვან და სარწმუნო პირებს, რომლებმაც დადასტურეს აწინდელი სახარება? თქვენ ამბობთ, რომ სანამ გაასწორებდი სახარებას, გადიკითხეთ ათასობით ძველი ხელთნაწერები და მრავალი კრიტიკული თხზულება; მაგრამ სხვებიც ხომ კითხულობდნენ და ეძიებდნენ, მაგრამ სულ სხვა დასკვნას დაადგენ... ვის ვერწმუნოთ? სად არის ქვეშარიტება?, ნუ ჯავრდებით, გრაფო! ეს კითხვები მაწუხებენ, მიძნელებენ სიცოცხლეს და გთხოვთ შემეწიოთ მათს ახსნაში. გარდა ამისა თქვენ სახარებაში თქმულია, რომ ადამიანებმა არ უნდა მოკლან ერთმანერთი, არ შეაწუხონ, არ იპარონ, გარყვნილებას არ მიეცნენო და სხვა; მაგრამ რატომ არ უნდა ქმნან? ადამიანებს სურსთ ყველაფერი ეს ჩაიდინონ, მათ აქვს ამ საქმეთადმი მიზიდულობა, სჩანს, მათს ბუნებაში არსებობს ამათი მოთხოვნილება, — თქვენ კი ამბობთ: არ უნდა ქმნანო. უმთავრესი არ გითქვამთ, სახელდობ: რისთვის? თქვენი გასწორებისგან თავისუფალი ქრისტიანობა კი გვაძლევს ამაზე ცხად პასუხს. თქვენ ამბობთ. ასე სთქვამს მთელ ქვეყნის ძველმა ბრძენებმაო. მაგრამ რით დაამტკიცებთ, რომ ისინი ბრძენები იყვნენ და არა გიუები და მძმაცველ-მჩემებლები? თუ თქვენ მთელ თანამედროვე ქრისტიანობას რაცხი განრყვნილად, ქრისტიანობას, აღმოცენებულს ისეთს ხანაში, რომელიც შესაძლებელია ისტორიულად გამოკვლეულ და შემოწმებულ იქმნას, მაშ როგორ შემიძლია ვირწმუნო, რომ ისტორიის უწინარესი კონფუსიანობა და ბუღდობა ბოღვა და ზღაპარი არაა თუმცა პოეტურ, მაგრამ უვიც თავის? როცა გადვიკიოხე თქვენი წიგნები, რომლებიც ძალიან მომეწონა, გადავწყვიტე, უკეთესია არაფერი ვირწმუნო, ვიდრე ნახევრად

მორწმუნე ვიყო თქვენსავით. რას მეტყვი ამის შესახებ?

ტოლსტოი სდუმდა და სულ ქალაქებში იჩხრიკებოდა. შემდეგ გულ-მოსულად წამოიწია მაგიდიდან, მომიბრუნდა და მითხრა:

— აქ მე ერთი ხელთნაწერი მქონდა. ერთმა სტუდენტმა გამომიგზავნა, რომელიც თქვენსავით დაღვრემილ მრგომარეობაშია. მან დამიყენა მთელი წყობა თქვენებრივ კითხვათა; და პასუხიც დავუწერე... და აი ვერ ვნახე, სადღაც ჩაიკარგა... მე მეტი არ შემიძლია...

— მაინც მომეცით რამე რჩევა.

— იცხოვრეთ, როგორც გეცხოვრებათ: გწამთ-იწამეთ, არა გწამთ-ნუ იწამებთ. მაგრამ ყოველთვის სწორე და პატიოსანი იყავით თავის რწმენაში.

ამ სიტყვებით იგი წამოდგა და ჩვენ იძულებული შევიქენით გამოვთხოვებოდით. ამ დღიდან უფრო და უფრო დავრწმუნდით, რომ ტოლსტოის სწავლაში ქვეშარიტება არ იყო, მერე კი შევნიშნე, რომ ცოტა იყო ის პატიოსნებაც რწმენაში, რომლის შესახებ ამბობდა იგი. ბოლოს გადავწყვიტე ყველაფერი ანბანიდან დამეწყო. ვიფიქრე, მოლი შევამოწმებ ყველაფერს თვითონ მე, საკუთარ ტვინითთქო; ვერაფერს მივალწევ—კისერს ბაწარი, და შაბაშთქო.. და წავედი პირდაპირ მონასტერში. ამბობენ. წინამძღვარი ნასწავლი კაცია, ბრძენი; მეც ასეთი მინდა. მივალ მასთან და, როგორც იტყვიან, გადმოვაბრუნებ მის წინ მთელს სულს. მან ყურადღებით მომისმინა და მითხრა:

— ყოვლის უწინარეს დამშვიდდით. ყველაფერი ისეთს ბნელ მდგომარეობაში არაა ცხოვრებაში, როგორც თქვენ გეჩვენებათ. დარჩით ჩვენსას, მიხედეთ ჩვენს ცხოვრებას, ისაუბრეთ ჩვენთან, იკითხეთ ჩვენი წიგნები, — და, ღვთის მადლით, ყველაფერი გაიარს. თვითონ მეც ახალგაზღობისას თქვენსავით ავითმყოფი ვიყავი; მოვედი აქ—განვიკურნე და ახლა ემადლომ ღმერთსა.

— თქვენ მე, — ვეუბნები, — უკეთესია მირჩიოთ, თუ როგორ დავიწყო კრიტიკული შემოწმება.

— რჩევას ამ შემთხვევაში სარგებელი არ



მოაქვს. უნდა იცხოვრო და თვით ცხოვრებით განიკურნო და გასწორდეს. აქ საჭიროა არა სიტყვიერი, არამედ ცხოვრებითი კრიტიკა და შემოწმება. სიტყვები და ლოლიკა კარგია თხზულებათა და სიტყვათა გასწორების დროს; ცხოვრება კი განრღვეული სხვა და სხვანაირე ზედგავლენით სწორდება არა სიტყვებით, არამედ უმთავრესად ცხოვრებითვე, ცხოვრებით ზომიერით, სალით და ზნეობრივით...

მეც დავრჩი საცხოვრებლად მონასტერში. ხშირად ვესაუბრებოდი წინამძღვარს, ძმებს; მათელ დღეობით ვკითხულობდი წიგნებს მონასტრის წიგნთ-საცავში, ვესწრებოდი ღვთისმსახურებას, ვცდილობდი ამეტანა მონასტრის წეს-რიგი, და საზოგადოდ ვმუშაობდი თვის შორის გულსმოდგინედ. და დასრულდა ყოლიფერი ეს იმით, რომ გარდავაგდე ყოველი ჩემი წინანდელი ბოდვა და რყევა, შევაჩვენე ტოლსტოის სწავლა და აღვიკვეცე ბერად.

ონოფრე მწირი.

ახლო-მახლო.

გაგრძელება.<sup>1)</sup>

IV.

ყოველ კუთხიდან გაიძახიან დღეს სამღვდელოებს საჩივარს და არათუ გაიძახიან, საქმითაც ამტკიცებენ სრულს მათდამი მძულვარებას, რაც სამწუხაროა, მაგრამ უფრო სამწუხარო პირველად ის არის, რომ სამღვდელოებს აკლია თავის გასამართლებელი საბუთი და მეორედ, ის იმდენად აქცევს ყურადღებას ამ პირდაპირ მისდამი მიმართულ შხამიან ისარს, რამდენად ყარამანიანის ზღაპარს მე და შენ მკითხველო. არ ეშინია, რომ ღრმა ძილში მას მტერი ეპარება და ღვარძლს სთესს, პურით ნათეს ქრისტეს ყანაში; არ ფიქრობს იმდენად მაინც გასწორდეს, რამდენადაც მას მტერი ადვილად ვერ მიუღებდა. მას თავი კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ჰგონია, როდეს

<sup>1)</sup> იხ. „შინ. საქ“ № 11.

საც სასულიერო წოდებაზე მხოლოდ კანტიკუნტად შეიძლება დალაპარაკო. ის იმის მოლოდინშია, რომ მდინარეები ძალა-უნებურად ისევ მთისკენ დაიწყებენ დენას, არ სურს თან გაყვეს ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას და ამის გამო, ჰოი უფალო, შენ მხოლოდ უწყვი რა მაგველის ჩვენ!...

ვბედავ მივაქციო ზოგი ნაწილი, უფრო სოფლის სამღვდელოების, ყურადღებისა მის სამს უმთავრეს ნაკლულოვანებაზე:

- 1.— მის ერთ ნაწილს ძალიან ნაკლებ აქვს განვითარებული ზნეობრივი თავმოყვარეობის ნიჭი.
- 2.— აკლია თვითცნობიერება.
- და 3.— არ სწამს ცნობის მოყვარეობა.

\* \*

1.— როგორც საზოგადოდ ყოველ ღირსეულ კაცს, უმეტესად სამღვდელო პირს, თავის ავტორიტეტის დასაცველად და პატივის მოსაპოვებლად უნდა ჰქონდეს ქეშმარიტი ზნეობრივი თავმოყვარეობა (რა თქმა უნდა, არა საზიზღარი ამაყური), რასაც ზოგი მათგანი მეტის-მეტად მოკლებულია, რაც აშკარად ეტყობა მათ, როგორც კერძო ცხოვრებაში—ოჯახში, ისე მრევლში, სოფლად და ქალაქად... ზნეობრივად სამძიმოა ამაზე მაგალითების მოყვანა. ისედაც ცხადია, რომ ზოგი მათგანი თავის ცხოვრებით, მსჯელობით, მოძრაობით, ალებ-მიცემით და სხ. მეტის-მეტად იმცირებს თავს. მართალია, სამღვდელოება იმ აზრისაა, რომ კაცი თავდაბალი უნდა იყოსო, მაგრამ თავდაბლობა როდის უარს ყოფს თავმოყვარეობას? მეტის-მეტად თავმოყვარე კაცი შეიძლება მეტის მეტად თავდაბალი იყოს და ზომაზე მეტი თავდაბალი კი, ზომაზე მეტი ბოროტიც გამოდგეს... ქეშმარიტი თქმულებაა: „თქვენ უნდა ეცადოთ, რომ პატივისცემა მოიპოვოთ, თუ გინდათ, რომ დაგიჯერონ თქვენო“. ვისაც მსურს გავლენა მოიპოვოს, მას ქეშმარიტი თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს, რაც მღვდლისათვის აუცილებელი საჭიროა. ვინ რა უნდა მოუსმინოს იმ პირს, რომელსაც თავისი თავი ვერ დაჰყავს შესაფერად,



ვისაც საკუთარი თავი ვერ უცვნიდა და მას პატივს არ სცემს? განა ღირსების ახლად ჩაითვლება, რომ ვინმე ღირსეულ კაცს, უცაბედად მოჰხდარ შემთხვევისა გამო, სასამართლომ ღირსება ახადოს? სრულიადაც არა, თუ ის საზოგადოებაში მაინც ატარებს კაცურ ღირსებას. საქმე ის არის, რომ კაცმა თავის უნიკო ცხოვრებით, უსუსური ქცევით და ადამიანური ღირსების დაუცველობით უტყუარი საბუთი მისცეს საზოგადოებას, რომ ამ უკანასკნელმა მას ღირსება ახადოს. მარტო სასამართლოს კი არ შეუძლია, რომ კაცს ღირსება ახადოს, ეს შეუძლია საზოგადოებასაც და ვაი მას, ვინც ამ უკანასკნელისგან არის ღირსება ახდილი... მაშასადამე ვალდებულია კერძო და მღვდელიც, როგორც საზოგადოდ ყოველი კაცი, ზნეობრივად გაკეთილშობილდეს, ნდობა და პატივისცემა მოიპოვოს, თუ ჰსურს მისმა მოღვაწეობამ ნაყოფი გამოიღოს და ყოველ გამგულელ-გამომგულელის საჯიჯგნი და თითოთ საჩვენებელი არ გახდეს.

\* \* \*

2.—მღვდელი მოწოდებულია საიდუმლოები ასრულოს და ილოცოს, არა ნაკლებ მოწოდებულია ის იქადაგოს, ასწავლოს ხალხს, ასწავლოს სჯული, ცხოვრება დრო და გარემოების მიხედვით. მაგრამ შეუძლია განა მღვდელმა შესძინოს რაიმე ცოდნა მრევლს მაშინ, როდესაც ჯერ თვითონ არ იცის რა ექირვება მას, რა ნაირ საზრდოს თხოულობს იმისი აგებულება? თუ ჰსურს მქადაგებელს მის სიტყვას გავლენა ჰქონდეს, ჯერ ბეჯითად უნდა შეისწავლოს კაცის ცხოვრება (საზოგადოდ), გარემოება და ხასიათი, მაგრამ ამას ის ისე ვერ შეისწავლის, თუ პირველად არ ისწავლა საკუთარი ცხოვრება, გარემოება და ხასიათი.— „მოსძებნე ჯერ—ამბობს უკვდავი მწერალი და სამაგალითო ქრისტიანე გოგოლი—გასაღები საკუთარი სულისა და ამ გასაღებით შენ გააღებ სუო ყველას სულსო“. მქადაგებელი მოდგეს და არახუნოს გინდ დიდად მაღალ-აზროვანი სიტყვა-მოდღერებაც, მაგრამ ეს მრევლის გულს ვერ წვდებოდეს, არ შეუძლია მქადაგებელს თავის მართლება მით, რომ ის შრომა-

მეცადინეობას არ აკლებს, რაც ძალი და ღონე აქვს ქადაგობს, მაგრამ მრევლს მაინც არ ესმის მისი სიტყვა. ეტყობა მას ვერ მოუწახავს საკუთარი სულის გასაღები და რისთვის უნდა გაუქვირდეს, რომ სხვისი სული ვერ გააღოს. ავიღოთ მაგალითად თვით მქადაგებელი. მას სასტიკად შია და სწაურია; უნდა პური და წყალი, რომ სიმშლიც მოიკლას და წყურვილიც, მაგრამ ნაცვლად ამისა, რომ დიასახლისმა, რაც მქადაგებელს ექირვება ის მოუბრუნოს, ამოუჯდეს გვერდით, დაიჭიროს ხელში ჩანგური და დაიწყოს დაკრა-დაღიღინება, ნუ თუ ეს სასიამოვნო ხმა ჩასწვდება მქადაგებელის სულის სიღრმემდის? ნუ თუ ის არ მიადახებს: „რას ჩადიხარ, დედა-კაცო! მე მშია და მწყურია, შენ-კი ჩანგურს უკრავ, გამოგართმევ მაგ რაღაც მანქანაა და ნაფოტ-ნაფოტად გიქცევო“. აი გასაღები საკუთარი სულისა. რამდენად მქადაგებელს ესაიამოვნება და ყურს უგდებს ჩანგურის საამურ ხმას, როცა სიმშლით კუჭი ეწვის და წყურვილით ენა უხმება, იმდენად სასიამოვნოდ მიაჩნია მრევლს მქადაგებელის მქვერ-მეტყველება ვარსკლავების მშვენიერებაზე მაშინ, როდესაც მას თავზე ქუდი არ ხურავს და ფეხზე ქალამანი არ აცვია. (როცა ვამბობ, ვარსკლავების მშვენიერებაზე მეთქი, სახეში მყავს ისეთი მქადაგებლები, რომელნიც კაცს და ზოგიერთ მოვლენებს აღმერთებენ და არა ისეთნი, რომელნიც სარწმუნოებაზე ქადაგებენ. სარწმუნოება ერთნაირად საჭიროა როგორც მძღარისათვის, ისე მშვიერისათვისაც).

ან რად უნდა გავვიკვირდეს, რომ კაცი გონებით არ გადაფრინდეს შორს, როცა მას უწუხს ის სხეულები, რომელსედაც მარჯვენაც მისწვდება და მარცხენაც... შეიგნოს მქადაგებელმა ხალხის საჭიროება, დაამზადოს იმის გულის საიდუმლოების პასუხები, აღზავოს ის გულწრფელობის ცრემლით და მაშინ ენახავთ რა ხარბად დაიტაცებს ხალხი—ამ უმანკო ხილს მქადაგებელის პირიდან.

თუ უნდა მოძღვარს, თუ სურს მას მისწვდეს მისი მოწოდების უმაღლეს წერტილს—მრევლის სულის ცხოვნებას, მას ბეჯითად



უნდა ახსოვდეს, რომ მოვალეა იზრუნოს ხალხის ხორციელი ცხოვრებისათვისაც. თვით ღვთისგან მონიკებული ხორციელი ცხოვრება, რომლის უარის ყოფა ყველას არ შეუძლია, მკიდროდ არის დაკმეშირებული სულის ცხოვნებასთან. პირველი მეორეს ამზადებს, პირველიდან მეორეზე გადადის ადამიანი, მაშა ადამე ხორციელი ცხოვრებისათვისაც იმდენად უნდა იზრუნოს კეთილმა მოძღვარმა, რამდენადაც გრძნობდეს, რომ ეს აუცილებელი საქაროა მიზნის მისაღწევად.

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).



**1904—1906 წ.წ. განცდილ კეჩოქ და საზოგადო გაზივრებათა მოგონებანი.**

1904—1906 წ.წ. ერთობ ავი წლები იყვნენ ეს წლები. ამ წლებში მთელი ხალხი გაგიჟებულს დაემგვანა; თითქოს მათობელა რამეთი ყოფილყოს მოწამლული; ყველანი ამოხტენ ჩვეულებრივი კალაპოტიდგან და აღელვებულ ზღვასავით იწყეს აქეთ იქით ტალღების სროლა. ნასწავლი და უსწავლელი, ყმაწვილი და მოხუცი ერთბაშით რაღაც ჯადოთი შეიქნენ შეპყრობილნი, გამართეს სხვა და სხვა ჰანგებზედ ლაპარაკი და თავს ანგარიშს აღარავენ აძლედა. ყოველი კაცი აღაპარაკდა, როგორც კარგა საქმის შკოდნე ვინმე და ისეთ ღიდ საგნებზედ დაიწყეს სჯა-ბაასი, რომ გაკვირდებოდით, გაოცდებოდით. პირველად მხედველ-მნახველი ამ ნაირათ უსწავლელი ხალხის აღაპარაკებისა; იფიქრებდა, ალბად იგივე სასწაული მომხდარა, როგორც ძველათ მოციქულების დროს, რომლებზედაც გადმოვიდა სული წმიდა და მათ მიენიქათ ძალა სხვა და სხვა ენაზე ლაპარაკ-ქადაგებისა, მაგრამ, რასაკვირველია, მალე დაინახავდა თავის შეცდომას: მოციქულებმა თავისი ქადაგებით და მოქმედება ცხოვრებით კიდევაც დაამტკიცეს, რომ ივინი არა სოფლისა ამისანი არიან, და თანახმად მათი მოძღვრისა და მაცხოვრის მცენ-

ბისა, ყველას ამცნეს, რომ „უმეტეს ამისა სიყვარული, არაჲს აქენდეს, რომელმან სული თვისი დასდოს მეგობრისთვის“. და ეს მცნება თვითონვე უნაკლულად შეასრულეს როგორც ქრისტემ ისე მისმა მოციქულებმა, შესწირეს რა თავისი თავი ხალხის ბედნიერებას-სულიერ წარმატებას. ყველისადმი სიყვარული, ყველისადმი სიბრალული იყო უმთავრესი სახელმძღვანელო მიზანი მათთვის. „არა ცეცხლითა და მახვილითა“, არამედ შეგონებითა და ღარიბებითა აამოძრავეს მათ მთელი კაცობრიობა და შთაბერეს მას ახალი სული ცხოვრება-მოქმედებისა. ახლად მოვლენილნი მოციქულები კი ცეცხლითა და მახვილითა ცდილობდნენ გავრცელებას თავიანთ აზრთა და შეხედულობათა. ესენი ემუქრებოდნენ ყველას გაქრობას: მღვდელს, ბერს, თავადს, აზნაურს, მდიდარს და თანამდებობის პირთ და მარტო თავის თავს თვლიდნენ ამ ქვეყანაზე არსებობის ღირსად. საქმეთა მათთაგან იცნობდეთ მათ! ხოლო საქმენი ამათნი გააოჩინებულ იყო: სიკვდილი იმათ ვინც რამე სხვანაირათ მოაზრე არს, ვინემ თვით ეს მქადაგებლებ-მოციქულები; ტყვია მას, ვინც უცებ არ აპყვა ამით და მათთან ფერხულში არ ჩაემბა; ცარცვა-გლეჯა მათ, ვისაც ცოტაოდნათ სიმდიდრე შეუძენიათ; წყევლა და კრულვა ყველას, ვისაც ბარ-ნიჩაფი არ უკავია ხელში; მოსპობა მღვდლებს, რომ ისინი ხალხს ღვთის არსებობას აგონებენ და არა დარვინის თეორიას განუმარტავენ (რომ ჩვენი წინაპარი მხეცია და არა ღვთისგან გაჩენილი პირველი ადამიანი); შეჩვენება ძველ წესწყობილებას, რომ მამასახლისის მაგიერათ წარმომადგენელი არ დაარქვა სოფლის მეთაურ კაცს, ნაცვალ-პომოშნიკის და იასაულების მაგიერათ ასისტავ-ათისთავები!— პირველი ნატურა ყველასი იყო, მოგვეპოვებია სიტყვის თავისუფლება. რაღაც ზეციურ მანანად გვეჩვენებოდა ის ჩვენ, მაგრამ როგორ გამოიყენეს ზოგიერთებმა ეს თავისუფლება, როდესაც ის დროებით მოპოვებულ იქმნა? ნამდვილ სერიოზულ და საფუძვლიან მსჯელობის მაგიერ ათას აბდაუბდას მოედევნენ, დაიწყეს რაღაც დედაბრული ლანძღვა-გინება



და წყველა-კრულვა რომელიც არის ნიშანი სულმდაბლობისა და გონების გაუთლელობისა. უბედურებმა რა არ ამოტორტლეს სარწმუნოებაზე მაინც! ყოველივე სარწმუნოების არსი მღვდლებს მოგონილად დასახეს; თვით მღვდლები ხალხის სისხლის მწოველათ აღიარეს და ამათი დასამცირებელი ზღაპარიც შეთხზეს, რომელშიაც მღვდელი გამოყავთ გველის კვერცხიდან გაჩენილათ ხალხის თვალში მეფეთა და ვაქარ-მდიდართა არსებობის და საჭიროების დასაცველათ (ასეთ მოთხრობილი აწ განსვენებულ „პატარა გაზეთში“ ფელეტონათ, ნომერი არ მახსოვს). ისეთი კილოთი დაიწყეს წერა და ლაპარაკი ზოგიერთებმა, რომ ცოტათი რიგიან კაცს გული აემღვრევოდა. იქამდის მივიდა საქმე ზოგიერთ ვითომდა მეცნიერთა უწმაწურობით, რომ ყველასაგან ნანატრი სიტყვის და წერის თავისუფლება საძულველი შეიქნა და მალე გახდა სანატრელათვე მისი შეზღუდვა. ახალ მოციქულ-მოძღვართა საქციელი მოგვაგონებს ერთ რძალ-მამამთილის ამბავს: თურჴე მამამთილმა რო დაინახა, რომ მისი ახლად მოყვანილი რძალი ჩუმათ დაიარება, სულ ტუჩ ახვეული და არავის ელაპარაკება მაინც და მაინც ხშირად და თამამად, შეეხვეწა მას: მამაშვილობას ოღონდ დალაპარაკებული დამენახვე, მაგრე მუნჯათ ნუ დაიარები და ერთ თუმანს გაჩუქებ ხმის გასაღებსო და კიდევაც არუქა. მაგრამ საწყალ მამამთილს მალე სანანურათ გაუხდა რძლის ამისთვის დასაჩუქრება; რძალმა აიხსნა ენა თუ არა, გაქვს სიცოცხლე, ყველას დაანახვა თავისი ყოჩაღობა! დაიწყო კაპარჩხიანობა, დედამთილ-მამამთილის თრევა-ლანძღვა, მახლ-მულეების წყველა-კრულვა; ისეთი სხაპა სხუპი დაწყებინა ენას, რომ ყველას თავი მოაბეზრა და ამიტომ მამამთილი იძულებული შეიქნა ხელახლა ეთხოვნა თავის კაპარჩხინა რძლისათვის გაჩუქება, ძველ ადათზე დადგომა და ამისთვის კიდევ დაჭირდა ერთი თუმნის დახარჯვა, მეორე თუმანი მისცა რძალს, ოღონდ კი გაჩუქდით.

1905—1906 წლებს მევეძახი ავს წლებს, რადგან დიდი უბედურება, დიდი ში-

ში გამოიარა ყველა გულუბრყვილო აღაშინება, რომელსაც არ ჰქონდა შეგნებული მიზეზი ამ მოძრაობისა, რომელიც აყვა ფეხის ხმას მარტო ოდენ შიშითა და მუქარისაგამო სოფლათ მოთავე პირთა, რომელნიც პირდებოდნენ ყველას, ვინც უცებ არ შეუერთდებოდა სარევოლიუციო მოქმედებას, გაქრობას სახლკარის გადაწვა-გადაბუგვას. ამას მოჰყვა მქადაგებელთაგან ხალხის „წმიდა-წმიდათას“ ფეხით გათელვა, საცინლად აგდება და ახირება ყოველივე იმისა, რაიც ამ წუთისოფელში დასჯილ კაცს ამხნეებს და ანუგეშებს. უმეტესობა საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდა: ღმერთი დაუკარგეს მას, სხვიდგან კი შიშისა და შეწუხების მეტს არას მოელოდა; სასოწარკვეთილებამ მოიცვა მათი არსება, ვერ გაებდნათ ზოგიერთებს თავისი სულის კვეთება, გულის პასუხები თამამად გამოეთქვათ, რადგან იქვე გვერდში უდგნენ ახლათ აყოყოჩებული ყმაწვილები, რომელნიც მათ ახლათაობის მოლატეთ, რეაქციონერთა და ხულიგანათ აღიარებდნენ, და თან თოფის ლულას მიუშვერდნენ. აიყოლიეს შეუგნებელი ხალხი, გადააწვევინეს სასწავლებლები, კანცელარიეები და ზოგან ასე გასინჯეთ ეკლესიებიც კი. მურვანყრუს შემოსევა სხვა რა იყო, თუ არ ასევე განადგურება ყოველივესი, რაც გზაზე ხედებოდა? ავი წლები იყვნენ 1905—1906 წ., რომ უმრავლესობა იწყ ვლიდა თავის ბედს და სიკვდილს ნატრობდა. 1905 წ. ს. მახსოვროა ყველასათვის და უმეტესათ კი ჩემთვის, ვინაიდან ამ წელში შევცვალე მე ერთი სამსახურის ასპარეზი მეორეზე; ათი წლის მასწავლებლობის შემდეგ მივადწიე ჩემ გულითადს ნატვრას მღვდლობის ხარისხის მიღებას. ამაირათ ერთი საძნელო და ფრიად საპასუხო ასპარეზი მასწავლებლობისა დავტოვე და მეორე უფრო საძნელო ასპარეზზე შევდგი ფეხი სამოქმედოთ. საძნელოზე, ვამბობ მე, ვგულისხმობ რა ისე წმიდათ და პატიოსნად აღსრულებას მოძღვრულ-მწყემსურ მოვალეობისას, როგორსაც გვაეალებენ ჩვენ მწყესთ მთავარი ქრისტე და მისნი მოციქულნი. საძნელოს მით უმეტეს, რომ ამ დროს გამრავლდნენ თმაზედ



უმრავლესათ შიდაგებულნი მღვდლობისა, ეკკლესიისა და სრულიად სარწმუნოებისა და შასადამე ამ ასპარეზზე მყოფი კაცი ვერარას მოედლოდებოდა გარდა ზიზღისა, მწუხარებისა და დამცირებისა. ერთი სიტყვით მღვდლის ხარისხის მიღება იმ დროს, როცა მთელი ხალხი, ნებისთ თუ უნებლიეთ, აბოზოქრებული და ამდგარი იყო სამღვდლოების წინააღმდეგ, ჩითვლებოდა ერთ რიგ გმირობათ და მეორე მხრით რაღაც სისულელეთ, ვინაიდან ამ დროს ხალხში მღვდლათ გასვლა იმას ჰგავდა, როგორც ქრისტემ უბრძანა თავის მოციქულებს: „ჰა მე მიგავლინებ თქვენ ვითარცა ცხოვართა შორის მგლებთა“. მიუხედავთ ამისა მე რაღაც სიხარულით მივეშურებოდი ჩემ სამრევლოსკენ, ვიყავი რა დაიმედებული ჩემს თავზე, რომ გული ჩემი გამზადებულია ხალხის სიყვარულ-სამსახურისათვის. თუმცა, წარმოვიდგენდი რა სიძნელეს სახარებისებური მოძღვრის თანამდებობის აღსრულებისას, რამოდენიმეთ შიშიც შეპყრობდა, რაიც ცოტათ თუ ბევრათ ჩემს სიხარულს ფრთებს აკვეცდა. აღწერელია სულიერი მღვდლვარება ახლათ ნაკურთხი მღვდლისა: მიტოვება ძველი ცხოვრებისა, ჩაცმა-დახურვისა, ნაცნობებ-მეგობრებისა და სულ სხვა ნაირ სახის მიღება და სხვანაირ პირობებში ცხოვრება, განა საქმონი არ არიან შეარყიონ და აამღვლვარონ ადამიანის ბუნება? და აი ასეთ დროს, როგორც მე გამოვცადე ჩემს თავზე, დიდათ საჭიროა ახალი მღვდლისათვის გამამხნეველები სიტყვა, რაიც უნდა ისმოდეს უმეტესათ ყოვლისა ამ სამსახურში მოხუცებულ და დაჯილდოებულ პირთაგან, რომელნიც ისედაც უნდა იყვნენ მისაბამავი მაგალითი სულიერ ცხოვრებით ახალ თანამათათვის და სიტყვა-დარიგებით ხომ რაღა თქმა უნდა? სხვისი პრ ვიცი და მე კი აქაც მიმტყუნა ბედმა: ნაცვლად გამხნევება—ნუგეშისა ერთმა ჩინოვან ანაფოროსანისა (ქუთაისში) სიტყვებმა გული დამიკოდა, და სასოწარკვეთილების ბეჭედი დამსვა, თუმცაღა მცირე ხანს. მან მისაყვედურა ახალ მოძღვრი კილოთი: „კაცო“ რათ შესკდი, რომ ანაფორა ჩაიცი და სერთუკი მიიტოვეო, ბევრს

ინანებ შემდეგ, მარა გვიანლა იქნებოა!“ მე გაოცებული შევეკითხე დიდ ხარისხოვან მღვდელს, რატომ ვინანებთქვა და მან მოკლე პასუხით გამისტუმრა, მიტომაო რომ, ამიერიდგან საფრთხოვლათ გადაქციო (сугахомъ сдѣлался). როგორ მოგწონს მღვდლის საფრთხოვლათ აღიარება? მე კი მგონია ხანჯალიც ვერ მაგრძობებდა იმდენ ტკივილს გულში, რაც მიქნეს მისმა სიტყვებმა. დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ 1905 წელიწადი სამსოფროა ჩემთვისთქო და სხვათა შორის იმითი კიდევ, რომ მაშინ ქალაქში ცხოვრება მივატოვე და სოფელს მივაცანე საცხოვრებლად და ის იმ დროს მოხდა, როცა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ხალხი მეტათ აზვირთებულა იყო. სოფლად ვნახე აქრელებული ხალხი, ახალ საგნებზე მოლაპარაკე. მაგრამ შეუგნებლად, გაუგებრად მოტიტინე მისი, რაიცა ჩასძახეს მას ახლად მოვლენილმა ზოგიერთმა ხალხის მხსნელ-მაცხოვრებმა. მაგრამ ხალხს რა მოეთხოვება, როცა არცა რა დიდი თვით ზოგიერთ მოქალაქეთაგან ისმოდა და სჩანდა: ქვაზე, ან სტოლზე შედგომა, თითო გრაფინკა წყლის დაღევა ლაპარაკის დროს და ლანძღვა-გინება ყოველ მათ ქადაგებაში მღვდლებისა ზოგზედ ისიც არის, ეკკლესიისა, სარწმუნოებისა და სხვა ამისთანები ერთგვარი იყო ყველასაგან. მერე რავა ფიქრობთ, ბატონებო, კარგათ ქონდათ მათ გაგებული ჩვენი სარწმუნოების ძალა, მნიშვნელობა, ან სახარება თუ ჰქონდათ საფუძვლიანათ შესწავლულ-შეგნებული? თქვენ არ მომიკვდეთ ზოგიერთ, და უმეტესად სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტებს, სახარებისა არა გაგებოდათ რა. აი სხვათა შორის ნიმუში მათის ცოდნისა სარწმუნოების საქმეში: ერთმა მქადაგებელმა კერძო ლაპარაკში ჩემთან გამოურია, რომ იესო ქრისტეს ღმერთი არ სწამდაო, ანუ მათ ვნახედ რომ ვსთქვათ ატეისტი იყოო და თუ თქვენ მისს მაგალითს მისდევთ და მისი სიტყვები ყოვლად სარწმუნოდ მიგაჩნიათ, რატომ იმასავით უღვთოები არ ხართ, არამედ რაღაც ღმერთი გწამთ და თვით ქრისტეც ღმერთად მიიჩნიეთო. — იესო ქრისტეს ატეისტობას საიდგან ამ-



დაბადების მოთხრობა

ადამისა და ეგას შეცოდებაზე ნამდვილი ას-  
ტორაია, თუ ალღეგორაია და ზღაპარი?

(ჩვენი მატერიალისტების აბდა-უბდის გამო)

ვამ დედა თქვენსა, ყოველთა,  
კულ დროს ჩავიგდავთ ხელადა,  
თორთ ენახავდი თქვენს ზუმბულს  
გაშლილს, გაფანტულს ველადა!  
არ წივი—ვაეა-ფშაველასი.

IV\* თავი.\*)

ტიციუსი, ყმაწვილოთქო, მოვახსენე მას, ს. ლმრ-  
თო წერილი იცი შენ თუ არა თქო? სახარე-  
ბა კარგად ვიციო და სხვა რაღა საღმრთო წე-  
რილიაო? მიბასუხა მან. აბა გეთსამანის ბაღი  
მოიგონეთქო, ვუთხარი მე, ქრისტემ ბოლო  
დროს რა საქმე ჩაიდინა იქათქო? რა ჩაიდი-  
ნაო და ჯვარზე აცვესო, იყო პასუხი. მე გამე-  
ცონა და ვუთხარი მას, მარტო ეს ამტკიცებს,  
რომ შენ სახარების არაფერი გაგეგება და სირ-  
ცხვილია აგრე კადნიერთა ლაპარაკი ისეთ რა-  
მეზე, რაც კარგათ არ იცითქო. ი. ქრისტეს  
ყოველივე სიტყვა-მოქმედებაში სჩანს, რომ იგი  
ღმრთა მორწმუნე იყო ღვთისა და გეთსამანის  
ბაღში მისი ლოცვა ამასვე ამტკიცებსთქო:  
„მამაო! უკეთუ გნებავს თანაწარსვლად სასმე-  
ლი ესე ჩემგან! ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ  
ნება შენი იყავნ.“ ამას ლოცულობდა ქრის-  
ტე მუხლმოდრეკილითქო და, თუ ღმერთი არ  
სწამდა, ვის ევედრებოდა აბა თქო? „მამაო ჩვე-  
ნო“ ვისი ლოცვაა და რას ნიშნავსთქო და  
აქაც იგივე უფიცობა გამოიჩინა მან. აი ასე-  
თი ყმაწვილები გამოდიან და მსჯელობენ სარ-  
წმუნოებაზე!! საყდართან თავმოყრილ ხალხს  
ერთმა ასეთმა ვაჟბატონმა უთხრა, რომ ეს საყ-  
დარი და სხვაც მალე თეატრად ან ცირკად გა-  
დაკეთდებაო, რა საჭიროა საყდარიო; და რო-  
ცა ხალხი ეკლესიაში სალოცავად შევიდა, ეს  
კარებთან აიტუხა თავდახურული, პაპირობს  
აბოლებდა და თან სიცილად არ ყოფნიდა ხალ-  
ხის პირჯვრის წერა და მუხლ-მოდრეკა. ერთს  
კიდევ ასე ებრძანებია, რომ ღმერთი დაბერდა  
და საღდაც ხრამში გადავარდაო, მეორემ თა-  
ვისი თავი ქრისტეს შეადარა თურმე, იმსავით  
მქადაგებელი ვარო. კაი შედარებაა თუ თქვენც  
დამეთანხმებით! შესამეხ ხალხს უქადაგაო, რომ  
არაფერი საჭირო არ არის ნათვლა, ზიარება  
და ჯვრისწერაო და სხვა ამისთანები, ამის გამ-  
გონე ხალხი, ანუ როგორც ქრისტე ბრძანებს  
„ერთი მცირედთავანი“ რა აზრზე და გუნებაზე  
უნდა დადგეს ნეტაი?

ქეკელი-საბაგოელი.  
(შემდეგი იქნება).

აი ასეთი აზრებია მეცნიერებაში გატარე-  
ბული მოსეს თქმულებაზე ადამისა და ევის  
შესახებ. მათ წაკითხვაზე ჩვენი ქუჩების მეც-  
ნიერები ერთი შეხტებიან სიხარულით, მაგრამ  
ვაი თუ ნაადრები დღესასწაულოაა გ მოუვი-  
დესთ! აბა კარგად ჩაიხედოთ ამ თეორიებში  
და შევიტყოთ სიბნელე და სისულელე სქარ-  
ბობს იქ, თუ სინათლე და გონიერება.

ჯერ ალღეგორიული თეორიის რიგია და  
ის ვაგარჩიოთ. პირველი და დიდი შეცთობა  
არის ის, როცა ალღეგორიულს თეორიას ატ-  
მანსიან კოსმიურს და მითოლოგიურს ხანას.  
აქ ამ აზრის მიმდევარნი სრულიად უკუღმა  
სჯიან და ისეთს სისულელეს აღიარებენ, რომ-  
ლის შეწყნარება მითოლოგიის მეცნიერებას  
არ შეუძლია. პირველი ხალხი სულ ალღეგო-  
რიებით და იგავებით ლაპარაკობდაო, გვეუბ-  
ნებიან! სრულიადაც არა. პირველს ხალხს სიზ-  
მრადაც არ უნახია იგავი და ალღეგორია,  
რომელიც გაჩნდა შემდეგს, გმირულს და ის-  
ტორიულს ხანებში, როცა ხალხი გონებრივად  
მომწიფდა, მაგრამ ალექსანდრიის სკოლის მოძ-  
ღვრებს: ფილონს, ორიგენს და კლიმენტის  
ნახევრად ეპატეებით ეს დანაშაული, რადგან  
მაშინ მითოლოგია, როგორც მეცნიერება, და-  
ბადებულიც არ იყო და კოსმიური ხანის ამ  
მეცნიერებს და ფილოსოფოსებს არა გავგებო-  
დათ რა. „ძველი ხალხი, ამბობს აკადემიკოსი  
თ. ბუსლაევი, — ვერ ურიგდება ალღეგორიას,  
თითქმის არც ეკარება მას ახლოს. ძველი კო-

\* იხ. „შპნ. საქ.“ № 11.

*ქეკელი-საბაგოელი*



ცი არაოდეს არ ფარავს თავის აზრებს, იგი უშიშრად და პირდაპირ მიდის მიზნისაკენ<sup>1)</sup>. ეიხორნიც ძლიერ უხიბლდება ასეთს თეორიას და სრულიად სამართლიანად ამბობს: „ესთქვით, რომ დაბადების შესამე თავში არის ალლეგორიული ფრაგმენტი. მერე რომელს უნდა ეკუთვნოდეს მისი დასაწყისი? არა მოსეს დროს... არამედ ბევრად უფრო ძველს დროს, შეიძლება, კაცის გაჩენის პირველს დროსაც. მაგრამ განა შეიძლება იმ დროს, ქვეყნის ქაბუკობის დროს ალლეგორიული წარმოდგენა? განა ალლეგორია უკვე მომწიფებული გონების სათამაშო არ არის?! და ისიც სრულს უცილობას დაამტკიცებდა კაცის გონების შესწავლაში, ვინც იფიქრებდა, რომ კაცობრიობა ერთ და იმავე ტიპინით ერთობა ბავშობაშიც და სრულს ასაკშიც.“<sup>2)</sup> ეს აპრიორულად. ახლა ჩავხედოთ თვით დაბადების შემე თავში. ვინც ქეშპარიტებას ეძებს და ავთომყოფი გონებით არ მუშაობს, ის ვერავითარს ნილაბს ვერ შეამჩნევს ამ უბრალოდ მარტივს მოთხრობაში. რა არის აქ საიგავო და საალლეგორიო?! ამას თვით მითიკური თეორიის წარმომადგენელნიც უტყვიებენ ალლეგორისტებს<sup>3)</sup>. მართლაც მოსეს მოთხრობას ისეთი წიწნები აქვს, რომ ალლეგორია სრულდებით კარგავს აქ ადგილს. ეს არის გარკვეული და გეოგრაფიისაგან შეწყნარებული ტოპოგრაფია (იხ. გენსტენშერგის: *christologie des Alten Testaments*, Berlin 1829. I, 26; შეადარე შულცი *Scholia in Vetus Testam*; თ. II, გვ. 49) „და დანერგა უფალმან ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავლით,—მოგვიტხრობს მოსე თავის წიგნში (II, 8—14),—და დაადგინა მუნ კაცი, რომელი შექმნა, ხოლო მდინარე გამოვალს ედემით მომრწყველი სამოთხისა და მიერ განიყოფის ოთხად თავად: სახელი ერთისა ფისონ, ესე გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ეგვიპტისასა, მუნ უკვე არს ოქროს, ხოლო ოქროს ქვეყანასა-ეთიოპიასასა.

და მდინარე შესამე ტაგრისი, ესე ვალს წინაშე ასურეთისა, ხოლო მდინარე მეოთხე ესე ეფრატა“. შეიძლება ურწმუნობამ სთქვას რამე პირველი ორი მდინარის შესახებ, რომელთა სახელები გეოგრაფიამ ჯერ არ იცის, მაგრამ ვერაფერს ვერ ვიტყვით ტიგრისე და ეფრატისე. თუ ასეა, აბა რა კეჟაში მოსასვლელია, რომ ორი მდინარე ნამდვილი იყოს და პირდაპირ ნაჩვენები და ამასთან ერთათ ორი მდინარე ალლეგორიული? თუ ალლეგორიაა, სულ ალლეგორია უნდა იყოს. ამასვე აღიარებს ისტორიაც; ეს ადგილი არის აკვანი და კერა კაცობრიობისა და აქედამ დაიძრენ ყველა ხალხები. ვგონებ ამასაც დიდი მტკიცება არ სჭირდება<sup>4)</sup>. ახლა ვიკითხოთ, რომ დაბადება ფიზიკურს, რეალურს საგნებზე არ ლაპარაკობდეს და სამოთხე სუაყვად იგულისხმებოდეს, მოსე რაღათ გაურევდა ამ სულთერს საგნებში გეოგრაფიულს საგნებს; მიწას, რომელიც ყველას შეგვიძლია ვნახოთ ჩვენი თვალით, მდინარეს, რომლის წყალი შეგვიძლია დღესაც ვსვათ, მადნებს, რომელსაც მაშინაც და ეხლაც პოულობენ იქ? თუ სამოთხე ციურია და არა ქვეყნიერი, ეფრატი და ტიგრიც ციურია? ან რა უნდა ციურს სამოთხეში მიწიერს მდინარეებს?! და თუ ერთი მიწიერია და რეალური, რატომ შეორეც ასეთი არ უნდა იყოს? მაგალითად თუ სამოთხის ალაგი და მდინარეები ნამდვილია დასახელებული, რატომ სამოთხის ხეები არ უნდა იყოს რეალური, ან გველი?! ეს სრულიად გაუგებარი არის. (იხ. იოანე ოქროპარის *in genesis homil. XIII, n. 3*; თეოდორიტეს: *in genes. Quæst. 26*). პენსტონშერგი—*Christologie...* I, 26—28.

ტონკელი.

(შემდეგი იქნება).



<sup>1)</sup> О. Вуслиевъ. История. очерки рус богат. Эпостъ. V.  
<sup>2)</sup> ეიხორნი. *Urgeschichte* B. 2 II, გვ. 89—95.  
<sup>3)</sup> გაბლერი. *Urgeschichte*, შესავალი, 387.

<sup>4)</sup> შულცი. *Scholia in Pest. Vetus. III, 49*; პენსტონშერგი: *christologie...* I, 26. ეიხორნი: *Urgeschichte*, I, 376.



მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკუ-  
დაევებას და საიქიო ცხოვრების არსებობას.

(გომართელის „სულისა და ტინის“ გამო).

**გაცარცულა საფლავა.** საუკეთესო საზღ-  
ხულო სასეირნო ადგილად ქალაქ სიმბირსკის  
მცხოვრებთათვის ირიცხება ეგრეთწოდებული  
კინდიაკოვის ქალაქი, რომელიც მოშორებუ-  
ლია ქალაქზე სამი ვერსით და მდებარეობს  
სარატოვისკენ მიმავალ გზაზე. აქ ხშირ ხეებ-  
თა შორის დღესაც დგას ერთი, თუშკა დრო-  
თა ვითარებისაგან საკმაოდ შელახული, მაგ-  
რამ კიდევ მშვენიერი, ბომონის მსგავსი ძეგ-  
ლი. მოხუცებულები ბევრ რამე საარაკო ამ-  
ბებს მოგვითხრობენ ამ ძეგლის შესახებ. ბევრ  
განძის მძებნელს ჰგონებ-ა, რომ ამ ძეგლის  
ქვეშ დაფლულია განძი და ამიტომ ბევრი ნათ-  
ხარია საფუძვლებში და თვით ქვის იატაკიც  
ბევრგან დაზარალებულია. მაგრამ აი ქვეშარი-  
ტი მოთხრობა, რომელიც მე თითონ გამიგო-  
ნია სოფელ კინდიაკოვის პატრონ ა. ი. წლის  
მოხუცებულ ლევან ვასილის ძის კინდიაკოვის-  
გან, რომელიც გადაიკვალა შესამოცე წლებ-  
ში. აღნიშნული ძეგლი, მისი სიტყვით, აშე-  
ნებულია მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახე-  
ვარში, კინდიაკოვების ნათესავ ქალის საფლავ-  
ზე, რომელიც იყო ლიტურჯიანთა სარწმუნოე-  
ბის აღმსარებელი, და თვით კინდიაკოვს, რომ-  
ელიც მსახურებდა იმპერატორ პავლეს დროს,  
არ ახსოვს მისი აშენების დრო. აი რა შეემთ-  
ხვა თვით მას 1835 წელს. ერთხელ ზაფხულ-  
ზე მასთან სოფ. კინდიაკოვაში სტუმრებმა თა-  
ვი მოიყარეს და დაიწყეს კარტის თამაში. ლა-  
მის პირველ საათზე ოთახში შემოვიდა ლაქია  
და მოაჩვენა ლევანს, რომ ვილაც მოხუცი დე-  
დაკაცი შემოვიდა ბაღიდან ლაქიის ოთახში  
და ბეჯითად თხოულობს თქვენს ნახვას, — რა-  
ღაც დიდი საქმის გამოყო: კინდიაკოვი ადგა  
და გამოვიდა, და მართლა ნახა შალაღი ტა-  
ნის და მკრთალი პირისახის ქალი, ძველ მო-  
დაზე ჩაცმული. შეკითხვაზე, თუ ვინ არის ის  
და რა საქმე აქვს ასეთ უღროვო დროს, მო-  
ხუცებულმა მიუგო: „მე ვარ ემილია N., შე-

ნი ნათესავი, დამარხული ბაღში ძველ ქვეშ.  
თერთმეტ საათზე ვილაც ორმა აუზაკმა ამა-  
და ოქროს ჯვარი და ოქროს ნიშნობის ბეჭე-  
დი და შეაწუხა ჩემი ნაშთით“. ამ სიტყვებს  
შემდეგ მოხუცი სწრაფად გავიდა გლეხულ კა-  
რებში და მიიმალა ბაღში. ბ. კინდიაკოვმა,  
მომელსაც თავის დღეში შიში არ განუცდია,  
ეს ჩვენება ოცნებათ ჩასთვალა, რომელიც ში-  
სი ახრით გამოიწვია ბანქოს თამაშით დაღა-  
ლულმა მისმა წარმოდგენამ. ამიტომ მან მოით-  
ხოვა წყალი დაიბანა პირი და, ვითომ სულ  
არაფერი შემთხვეოდეს, დაბრუნდა ისევ ქა-  
ლაღლის სათამაშოთ. მაგრამ როგორი იყო მი-  
სი განცვიფრება, როცა მეორე დღეს, დილის  
ათ საათზე, მოვიდნენ ბაღის დარაჯები და მო-  
ახსენეს, რომ ძეგლის იატაკი ამოტეხილია და  
ვილაც ადამიანის ჩონჩხი ამოგდებულია ნახე-  
რად დამპალ კუბოდგანაო. აქ ნება უნებლიეთ  
დარწმუნდა ბ. კინდიაკოვი, რომ მისი ნანახი  
ჩვენება ნანდვილი იყო. მოიხმო ლაქია, რომ-  
ლისაგან გამოიკითხა წუხანდელი ჩვენების ამ-  
ბავი. უკანასკნელმა დაარწმუნა იგი რომ ნამ-  
დვილად ნახა მოხუცი ქალი და სიტყვა სიტ-  
ყვაზე გაიმეორა მისი ნათქვამი. ბ. კინდიაკოვ-  
მა მიმართა ქ. სიმბირსკის პოლიცემისტერს,  
პოლკოვნიკს ორლოვსკის. უკანასკნელი დი-  
ლის გულმოდგინებით შეუდგა გამოძიებას და  
აღმოაჩინა, რომ ქ. სიმბირსკის ორ მოქალაქეს  
მართლაც გაეცარცვათ საფლავი და ნარკვი  
(ოქროს ჯვარი და ბეჭედი) არყის დუქანში  
(კაბაკში) დაევირავებიათ; უმთავრესი მიზანი  
მათი კი თურმე განძის აღმოჩენა იყო. ეს ამ-  
ბავი პირადათ გაუგონიათ ბ. კინდიაკოვისა-  
გან, ჩემს ვარდა, შებატონეს სერგი ნიკოლო-  
ვის ძეს ნეიკოვს და ექიმს ევლანოვს.  
სხვა ამგვარ მოვლენათა შორის, ეს მო-  
ჩვენება შესანიშნავია მით, რომ იგი (მოჩვენე-  
ბა) არა თუ მხოლოდ ეცხადება, არამედ გარ-  
კვეულად ლაპარაკობს, რაც იშვიათი მოვლე-  
ნაა და კიდევ მით, რომ ეს მოჩვენება გამო-  
ცხადდა არა უადრეს ასი წლისა სიკვდილს  
შემდეგ. ამას ჩვენ შეგვიძლია დაუმატოთ, რომ  
ბ. კინდიაკოვი იყო მეტად სიმართლის მოყვარ-  
ე კაცი, არ სწამდა არაფერი ზებუნებითი



(сверхестест.), და სიკვდილ-მდის მშვენიერი ტანშრთელობა შეინახა. („Ревус.“ 1886 г. № 11).

**განსაცხადი ჩვენება.** ვინჩე ტერის ეპისკოპოსი ვილბელფორსი, ერთი უმთავრესი იერარქ-თაგანი ინგლისელ ეკლესიისა, რომლის სახელი კატოლისციემით იხსენიება ყელგან, სადაც კი ლაპარაკობენ ინგლისურათ, ერთხელ მიწვეული იყო სადილად საშვალო საგრაფოს ერთ-ერთ დიდებულ ოჯახში. იგი ცოტა ადრე მოვიდა, ასე რომ ჯერ დიასახლისიც არ გამოსულიყო თავის ოთახიდან და როცა სასტუმრო ოთახში შევიდა, ნახა უცხო კათოლიკეთა მღვდელი, რომელიც დივანზე იჯდა და გულმოდგინედ კითხულობდა რაღაც სქელ წიგნს.

როცა ეპისკოპოსი სასტუმრო ოთახში შევიდა, მღვდელმა აიხედა ზევით, ჩუმად დაუკრა თავი და გაერთო ისევ წიგნის კითხვაში. ეს იყო ლამაზი შეხედულობის და მაგარი აგებულობის კაცი, დიხჯი გამომეტყველების, მაგრამ მის პირისახეს ისეთ დაღალულობის და აღშფოთების ბეჭედი ესვა, რომ უნებლიეთ მიიქცია ეპისკოპოსის ყურადღება, და აღუძრა მას ცნობისმოყვარეობა, თუ ვინ იყო ის და რა უნდოდა აქა?

როცა სხვა სტუმრებიც მოვიდნენ, ეპისკოპოსმა, რომელიც დიასახლისთან იჯდა, ჩუმათ კითხა მას:

— მართლა, თქვენ არ გაგიცნობებიათ ჩემთვის ის მღვდელი, რომელსაც ასეთი შესანიშნავი შეხედულება აქვს და რომელიც მე სასტუმრო ოთახში დაშვდა, როდესაც მოვედი. ვინ არის იგი? ეხლა ის აღარ სჩანს სტუმრებთან შორის. ამ კითხვაზე დიასახლისის პირისახემ უცნაური გამომეტყველება მიიღო და მან ჩქარა, მაგრამ მდაბლის ხმით უთხრა მას:

— როგორ, ნუ თუ თქვენც ნახეთ იგი?

— უეჭველია, მიუგო ეპისკოპოსმა. — მაგრამ მომიტყვეთ, თუ მე უნებლიედ შევეხე რომელიმე ოჯახურ საიდუმლოებას. მე ვფიქრობდი, რომ იგი ჩვეულებრივი სტუმარი იყო, როგორც მე, ხოლო მისმა შეხედულებამ ისე განმაკვიფრა, რომ მინდოდა გავცნობოდი, მა-

გრამ თუ თქვენ რამე მიზეზი გაქვს, რომ მისი პიროვნება უცნობი დარჩეს, შეგიძლიათ ენდოთ ჩემს სიწყნარეს.

— არა, არა, თქვენო მეუფებავ, — მიუგო დიასახლისმა იმავე მდაბლის ხმით, — თქვენ სცდებით, რადგან მე დასაფარავი არა მაქვს რა, თუმცა ჩემ ქმარს კი სურდა, რომ არ გამხელილიყო. მე მხოლოდ მივირს, რომ ეს მღვდელი გეჩვენათ თქვენ, მაშინ როდესაც იგი აქნამდის ეჩვენებოდა ხოლმე ისევ ჩვენ ოჯახობაში მყოფლებს. იგი, ვინც შენ ნახე, სტუმარი კი არ არის, არამედ მოჩვენებაა.

— როგორ თუ მოჩვენება?

— დიახ, სწორეთ, განაგრძო დიასახლისმა, — მოჩვენებაა, რომლის არსებობაში ექვის შეტანა შეუძლებელია, რადგან ამ ორი წლის განმავლობაში, რაც აქ ვცხოვრობთ, ეს მოჩვენება რამოდენჯერმე გამოგვეცხადა მე და ჩემს ქმარს ისეთ პირობებში, რომ ყოველი შეცდომა და ეჭვი შეუძლებელია. ჩვენ იგი ათჯერ მაინც ვნახეთ და რადგან ამ მოვლენის ახსნა ბუნებრივი მიზეზებით ვერ შევძელით, გადავწყვიტეთ გაჩუმება, მაგრამ, რადგან თქვენც იყავით თვით მხილველი ამ მოვლენისა, შემიძლია თუ არა, გთხოვოთ, თქვენო მეუფებავ, დახმარება?

— მე მზადა ვარ დაგეხმაროთ ყოლიურით, რაც შემიძლია, მიუგო ეპისკოპოსმა.

— მე ჭშირად მიფიქრია, შესაძლებელია მოგეშორდეს ეს ჩვენება რომ ვინმე გაბედავდეს და დაელაპარაკებოდეს თქო. თქვენ შეგიძლიათ, თუ გინდათ რამე მიზეზით დაბრუნდეთ სასტუმროში და თუ იგი ისევ იქ არის, წინადადება მისცეთ თავი დაგვანებოს, ერთი სიტყვით შეაჩვენოთ.

ცოტა ყოყმანის შემდეგ ეპისკოპოსი დათანხმდა. მან ბოდრაში მოითხოვა სტუმრებთან და გამოვიდა სასადილო ოთახიდან. სასტუმროში შესვლისთანავე იგი მიიქცა უეცარმა შიშმა, როცა დაინახა იგივე მღვდელი რომელიც მთლად წასულიყო წიგნის კითხვაში. შეიმაგრა თუ არა ცოტა თავი, იგი გაემართა მოჩვენებისაკენ. როგორც პირველად, ეხლაც თავყანისკა მღვდელმა ეპისკოპოსს, მაგრამ



მის მაგიერ, რომ ისევ წიგნის კითხვაში გართულიყო, რაღაც ნაღვლიანად ცქერა დაუწყო მას. ერთი წამის ყოყმანის შემდეგ, ეპისკოპოსმა ნელის მაგრამ დიადის ხსით წარმო-სთქვა: — სახელითა ღვთისათა ვინ ხარ შენ? რაზედ მოსულხარ?

ამ შეფუცების პასუხად მღვდელი წამოღ-გა და ერთი წამის ყოყმანის შემდეგ ყრუთ, მაგრამ დინჯათ მიუხვო:

— აქნამდის მე არავის შევეფუცებდითარ მაგვართ. მე გეტყვი შენ ვინ ვარ და რა მინდა აქ. როგორც ხედავთ მე კათოლიკე მღვდელი ვარ და 80 წლის წინათ ეს სახლი მეკუთვნოდა მე. მე ვაგიყვებით მიყვარდა ნადირობა და ყოველი შემთხვევით ვსარგებლობდი ამისთვის. ერთხელ მე სანადიროთ ვცნადებოდა, როცა ჩემთან შემოვიდა ერთი მალალი წოდების ქალი, რომელსაც აღსარების თქმა განეძრახა. მე თქვენ არ ვაგიმეორებ მას, რაც იმან გადმომცა, მხოლოდ ვიტყვი, რომ მისი აღსარება შეეხებოდა ინგლისელ ერთ დად ოჯახის პატივს. მისი აღსარება იმდენად დიდმნიშვნელოვნად შეჩვენა რომ გადავწყვიტე მისი დაწერა. უგუველია, ეს ჩემის მხრით უზრდელობა იყო და — უფრო მეტი — ცოდვაც, რადგან ასეთი საქციელი სასტიკად აღკრძალული გვაქვს ჩვენი ეკლესიისგან. როდესაც აღსარება გავათავ-გეთ, და მონაულმა შენდობა მიიღო, მე შევ-ნიშნე, რომ კიდევ ცოტა დრო დამრჩენოდა. სახლიდან რომ გავდიოდი, მე დავმალე ხელ-ნაწერი კედლის საიდუმლო წალოში (ниша в стене). ეს შენიშვნები მე ჩავდევი წიგნში, რომელსაც ვკითხულობდი მაშინ, და წიგნიანა შევდევი წალოში; წალოს სარკმელი აგურე-ბით გავაკეთე, ისე, როგორც ყოველთვის. ჩე-მი განზრახვა იყო, დაბრუნებისას დამეწვა ეს სასირცხო ხელნაწერი. საუბედუროდ სიკვდილ-მა შემეშალა ხელი: ნადირობის დროს მე ცხე-ნიდგან გადმოვარდი და მოვკვდა. ამის შემ-დეგ მე თითქოს გადაწყვეტილი მაქვს აქ სი-არული, რომ ატაფერი ცუდი შედეგი მოჰყვეს ჩემს უგნურ საქციელს, რომ ეს ხელნაწერი არავის ჩაუვარდეს ხელში. აქნამდის არავის ვე-

რე გულადად არ მოუმართნია ჩემთვის, — რო-გორც თქვენ; ვერავინ შეიძლო და იერც მომ-ცა იმედი მიმეხწია ჩემი მიზნი თვის. გინდათ თუ არა, რომ მომეხმაროთ? მე რომ ვიჩვენო, სად არის ეს წიგნი, შემომფიცეთ, რომ თქვენ მოსპობთ იმ ქალაქს წაუკითხავად და არც სხვას მისცემთ წაკითხვის ნებას. მაძლევთ თუ არა სიტყვას, რომ შემისრულებთ ამას?

— ვფიცავ, უთხრა ეპისკოპოსმა, რომ სავსებით აღვასრულებ შენს თხოვნას.

— მაშ მომდიეთ მე.

ამ სიტყვებით მღვდელი წავიდა წინ, გაი-ყოლა ეპისკოპოსი, ჩაიარა ჯერ სასტუმრო კი-ბე, შემდეგ შინაური მისავალი და ჩავიდა სარ-დაფში. „აქ არის“, სთქვა მღვდელმა და ცა-ლი ხელით კედელს მიეყრდნო. ეპისკოპოსმა დიდის ყურადღებით დაათვალიერა ნაჩვენები ადგილი და შემდეგ მოუბრუნდა მღვდელს, რომ რამდენიმე კითხვა მიეცა, მაგრამ აქ შე-ნიშნა მან, რომ იგი მარტო იყო ნახევრად ბნელ სარდაფში. მეტის მეტად აღელვებული ეპისკოპოსი დაუყონებლივ დაბრუნდა სტუმ-რებთან, სასადილო ოთახში.

ამ მოთხრობის დასასრულ ვიტყვი, რომ ნაჩვენებ ადგილზე მასპინძლების თანდასწრებით მართლა იპოვნეს დროთა ვითარებისაგან გაყვი-თლებული წიგნი და შიგ სასირცხო შენიშვნე-ბი. ეპისკოპოსმა წმიდათ შეასრულა დანაპირე-ბი და დასწვა ხელნაწერი. ზედმეტი იქნება, ვსთქვათ რომ ამის შემდეგ მღვდლის აჩრდილს აღარ შეუწყუხებია მასპინძლები.

სანძინანი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი  
მღვდელი სიმონ მავლიძე.